



ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
საინფორმაციო ორგანო

№1 (67) იანვარი-თებერვალი 2014 წელი



ნმ. მეფე დავით ნინასწამეფყვადი

საიუბილეო მუსიკალური შეკრება



კიდევ ერთხელ ხელის ჩწვდილების თეატრზე



საეკლესიო საქართველოს ქართლი - ჰერცოგის, მკვირთა-
თბილისის მოაჯრობის ქობისის, ბიჭვინთის და ქუჩა-სოხანეთის
ბიჭვინთის, ილია II
საქართველოს

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმ-
თავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დია-
კონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო
საერო დასნო, - მკვიდრნო საქართველ-
ოისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზ-
ღვრებს გარეთ მცხოვრებნო ძვირფასო
თანამემამულენო!

„ნუ გეშინიათ, აჰა, მე გახარებთ
დიდ სიხარულს, რომლითაც იხარებთ
მთელი ხალხი. რადგან დღეს, დავითის
ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი,
რომელიც არის ქრისტე უფალი“
(ლუკა 2,10-11).

2014-ედ ეუნყება ახლა მსოფლიოს
ეს საოცარი ამბავი და ეფინება უფლის
უსხეულო ძალთა საგალობელი: „დიდება
მალალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა
ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათ-
ნოება“ (ლუკა 2,14). ანგელოზთა დასი,
მწყემსები, მოგვები და, მათთან ერთად,
ჩვენც მადლიერებითა და მოკრძალებით
კვლავ წარმოვთქვამთ ღმერთთან
შერიგების, მშვიდობისა და ბედნიერების
მომტან ამ დიდებულ სიტყვებს.

რამდენი ხანი ელოდა ამ ზეიმს ადა-
მის მოდგმა? რამდენი საუკუნე გაილია
ამ ჟამზე ნატვრით? რამდენი წმინდა და
ღვთისსათნო ადამიანი ლოცულობდა ამ
დღისათვის?

ადამიდან მამამთავარ აბრაამამდე
20 თაობამ განვლო, აბრაამიდან დავი-
თამდე - 14-მა, დავითიდან ბაბილონის
ტყვეობამდეც - 14-მა, ბაბილონის ტყ-
ვეობიდან ვიდრე ქრისტემდე, - კიდევ
თოთხმეტმა და მხოლოდ ამ დროის გას-
ვლის შემდეგ, ცოდვით დაცემული ევას
ნაცვლად, აღმობრწყინდა წმინდა ქალ-
წული, ღვთისმშობელი მარიამი, - სასძ-
ლო უფლისა.

ბედნიერია საქართველო, რომ
ქრისტეშობის სიხარული პირველი საუ-
კუნიდანვე ეუნყა მოციქულთაგან და ამ
დროიდანვე გახდა იგი ღვთისმშობლის
ნიღბვედრი. ეს უდიდესი პასუხისმგე-
ბლობაცაა. ამიტომაც სწორი წარმოდგე-
ნა უნდა გვექონდეს იმ პროცესებზე, რაც
დღეს ჩვენს ქვეყანაში და, საერთოდ,
მსოფლიოში მიმდინარეობს, რათა პა-
სუფი გავცეთ მათ და შევინარჩუნოთ წი-
ნაპრების თავგანწირვის ფასად დღემდე
მოტანილი ჩვენი მეობა.

ყველა დროში ქრისტიანობას თავისი
გამონწევები ქონდა, მაგრამ თანამე-
დროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა
გამორჩეულია მეგა-გამონწევებით.

პოსტმოდერნიზმის მთავარი არსი
იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილის
ხედვა, რომელიც ამა თუ იმ რელიგიურ
მიმდინარეობას ეყრდნობა, არასწორა-
დაა მიჩნეული, რადგან, მათი გაგებით,
ცდება ყველა, ვინც აცხადებს, რომ
ჭეშმარიტება იცის. თვით ათვისებაც
ცდება, რადგან ამტკიცებენ რალაცას,
მაგალითად, უღმერთობას. მართალია
მხოლოდ ის, ვინც არავის განსჯის.

ასეთი აზროვნებისათვის, სწორი
და არასწორი აღარ არსებობს. გვაქვს
უბრალოდ სისტემა, რომლისთვისაც
მნიშვნელოვანი ის კი არ არის, მართა-
ლია თუ არა ესა თუ ის პრინციპი, არამედ
ის, თუ რამდენად მუშაობს და რამდენად
სარგებლიანია იგი დღეს.

ამ სისტემაში მიჩნეულია, რომ თვი-
თონ ადამიანია ყველაფრის განმსაზ-
ღვრელი და რაც მას მოესურვება, ისაა
კარგი. ამიტომაც პიროვნების გამო-
სწორება კი არ არის საჭირო, არამედ
მისი აზროვნების შეცვლაა მისალნევი.
მაგალითად, თუ ვინმეს ჭუჭყიანი სა-
მოსი აცვია, და იგი ჩათვლის, რომ მისი
ტანსაცმელი სუფთაა და ამას თვითონაც
დაიჯერებს, ის მართალი იქნება. მნიშვნე-
ლობა არა აქვს, სხვაც ასე ფიქრობს თუ
არა.

თუ ვილაც მიიჩნევს, რომ ნაძვი
მარადყვითელი მცენარეა, სხვა კი ამ-
ბობს, რომ იგი იასამნისფერია, სწორი
იქნება ორივე და მცდარია იმის მტკიცე-
ბა, თითქოს, ნაძვი მხოლოდ მარადმწვანეა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დედამიწას,
ზოგადად სამყაროს, აქვს კანონები და ეს
არის რეალობა. თანამედროვე აზროვნე-
ბა კი გვეუბნება, რომ საერთო მოცე-
მულობა არ არსებობს და რომ ეს ჩვენი
მოგონილია. ამდენად, შეგიძლია, შენი
სურვილისამებრ, ნებისმიერი მოვლენა
აღიარო, ან არ აღიარო, მიიჩნიო არსებუ-
ლად, ან არარსებულად.

ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს!
უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეო-
ბრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია,
რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოღონდ
შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი



უნდა იქნეს დაცული, - სხვისი, განსა-
კუთრებით უმცირესობის, უფლებები არ
უნდა დაირღვეს! ეს კანონია.

შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ
იკარგება ზღვარი კარგსა და ცუდ
საქციელს, სიმათლესა და სიცრუეს
შორის. სიმათლე არის ის, რასაც მე მი-
ვიჩნევ სიმათლედ და მორჩა! შენ შენი
სიმათლე გაცქვს? დაიცავი შენი სიმა-
თლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლე-
ბებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები
არ შელახო.

დაახლოებით ასეთია ის აზროვნება,
რომელის დამკვიდრების მცდელობაც
არის დღეს.

არჩევანის თავისუფლებას და
პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების
მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს.
არჩევანის თავისუფლება უფლისაგან
ადამიანისათვის ბოძებული ერთ-ერ-
თი უმთავრესი მადლია, მაგრამ ქრის-
ტიანულ მოძღვრებასა და ფსევდო-
ლიბერალების მიერ შემოთავაზებული
„თავისუფლებას“ შორის ფუნდამენტუ-
რი სხვაობაა.

ფსევდო-ლიბერალური „არჩევანის
თავისუფლება“ ასარჩევ მოცემულო-
ბათა თანაბარ ღირებულებებს გულისხ-
მობს და ყველაფერს თანაბრად კარგად
მიიჩნევს.

ქრისტიანობა (ზოგადად, რელიგი-
ური აზროვნება) კი გვასწავლის, რა
არის კარგი და რა - მიუღებელი, რა არის
ცოდვა და რა - მადლი, მაგრამ არჩევის
უფლებას პიროვნებას უტოვებს. ქრის-

ტიანული პრინციპია: მე პატივს ვცემ შენი არჩევანის უფლებას, მაგრამ არა შენს ნებისმიერ არჩევანს; ყველაფერი ნებადართულია, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო (1კორ.10:23).

ისედაც ხომ ცხადია, არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის აკეთებ, თორემ თუ ყველაფერი სულ ერთია, არჩევანსაც აზრი ეკარგება.

ყოველივეს თავი და თავი კი ის არის, რომ სეკულარულმა იდეოლოგიამ პიროვნება ღმერთისაგან დამოუკიდებელ არსებად წარმოაჩინა, კვარცხლებეზე ცოდვით დამძიმებული ადამიანი დააყენა და ყველაფერი მის ინსტიქტებს დაუქვემდებარა, რითაც მდაბალი ვნებითი მიდრეკილებების ლეგიტიმაცია მოინდომა, მორალური და სულიერი ორიენტირები დაუკარგა და ეს ინდივიდუალიზმის საბაბით გაამართლა.

ესაა ყველა მიმართულებით გაშლილი ბრძოლა ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ.

დიდად სამწუხაროა, რომ უმცირესობათა ჯგუფები, რომლებიც ქრისტიანობისთვის მკვეთრად უარყოფითი იდეებით გამოორჩევიან, ჰუმანიზმის ალიარეზულ წარმომადგენლებად სახელდებიან. მათ აქვთ პრივილეგიები, რეკლამა, მათზე მუშაობს მასმედია, დაცულნი არიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; მათი მიზნების განხორციელებისათვის ხდება კანონმდებლობების შეცვლა და სხვა; ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესებს, განსაკუთრებით ეკლესია, დისკრედიტირების ნიაღვარში ექცევა, საზოგადოებაში კი მთავარი დარტყმის ობიექტი ოჯახია.

ეს პროცესები მეტნაკლებად ჩვენს ქვეყანაშიც მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ამ თემებზე ყურადღებას.

კრიზისის მთავარ გამოვლინებას სექსუალური უმცირესობების ურთიერთობების ქალისა და მამაკაცის ქორწინებასთან გათანაბრების და ერთსქესიანი წყვილებისათვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭების საშემოვება წარმოადგენს. ასეთი კანონი ქორწინების მთელ აზრს აუკუღმართებს და ბავშვსაც, ფაქტიურად, ნივთად აქცევს, რომლის ფლობაც ყველას შეუძლია.

საქართველო თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც, მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის. მაგრამ, ამ და ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში, ევროგაერთიანებამ, ევროპაზღაპრებმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცენ მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მოინდომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება.

საქართველოს ეკლესია მიესალმება ევროკავშირის პოზიციას იმის შესახებ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დეკანონება არ წარმოადგენს ევროკავშირის სრულუფლებიან წევრად ჩვენი ქვეყნის გახდომის წინაპირობას, რაც ევროკავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ბატონ ფილიპ დიმიტროვის 2013 წლის დეკემბრის თვის განცხადებაში დაფიქსირდა.

ზოგადად, ჩვენ მივგაჩნია, რომ ასეთი პიროვნებები დახმარებას და თანადგომას საჭიროებენ, რათა მათ დაძლიონ ცოდვითი მიდრეკილებები და სწორი ცხოვრების გზას დაუბრუნდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მხარი დავუჭიროთ მათი ცოდვის პროპაგანდას.

საერთოდ, ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი - „მცირე ეკლესია.“

ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისაც. ოჯახური ცხოვრება ქრისტიანული ღვანლია, გზაა სულის ხსნისა, რადგან იგი გულისხმობს არა მარტო ერთად ცხოვრებას, არამედ ერთმანეთისათვის ცხოვრებას.

ბიბლია გვასწავლის, რომ ოჯახის უფალი არის ღმერთი, რომელმაც ადამისა და ევას სახის მთელი კაცობრიობა შექმნა. ამდენად, ყველა ადამიანის მამა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და აბსოლუტური მნიშვნელობით, არის თვით შემოქმედი.

ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახისთვის მარტო სიყვარული და ერთმანეთისაკენ სწრაფვა არ არის საკმარისი. ოჯახი მონოდეულობა იქცევს „მცირე ეკლესიად“, მარადიული სიყვარულის ცოცხალ ხატად, რომელშიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ.

შეგახსენებთ მოსე წინასწარმეტყველის ყველაზე მთავარ მიმართვას ხალხისადმი: „ისმინე, ისრაელო! და ეცადე შეასრულო, რომ კარგად იყო და დიდად იმრავლო ქვეყანაში, ... ისმინე, ისრაელო, ერთია უფალი, უფალი, ჩვენი ღმერთი.“

გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით და სულით, მთელი შენი შექცობით.

გულში გქონდეს ეს სიტყვები, ... ჩააგონებდე შენს შვილებს და უთხრობდე სახლში ჯდომისას, გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას. შეიბი ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე. ნაანერე შენი სახლის ნირთხლებს და კარებს” (II რჯ., 6, 3-9).

ეს დარიგება ახალ აღთქმაშიც ყველაზე მთავარ მცნებად იქნა გაცხადებული იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც დაამატა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მთ., 19,19).

ოჯახში მეუღლეები ერთმანეთს სი-

ყვარულით უნდა ემსახურონ, თუმცა იერარქია ყოველთვის უნდა იყოს დაცული.

ის, რომ მამაკაცი თავია ოჯახისა, არ ნიშნავს მის ბატონობას, არამედ მის მსხვერპლშენიერულ მსახურებას, მის პასუხისმგებლობას ცოლისა და შვილებისადმი. იგია მათი დამცველი, მომპოვებელი არსობის პურისა და ამასთან, ღვთისმშასხური თავისი სახლისა. მან უნდა გამოითხოვოს უფლისაგან წყალობა, სიყვარული და მაღლი ოჯახის წევრებისათვის.

ქალი პასუხისმგებელია სახლზე, მისი წევრებისათვის ზრუნვაზე, შვილების აღზრდაზე. იგი ღვთის მცნებების გათვალისწინებით უნდა დაემორჩილოს ქმარს, თუნდაც, რომ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეუძლებელი იყოს, რადგან ამით აღასრულებს უფლის ნებას (თუმცა ეს არ ნიშნავს ცოდვასა და არასწორ ქმედებებში მორჩილებას).

ქრისტიანულ ოჯახში, რა თქმა უნდა, თავს იჩენს არაერთი განსაცდელი, რაც ურთიერთსიყვარულით უნდა დაიდლოს. და თუ ეს ასე არ ხდება, იქ არც არის ნამდვილი ოჯახი.

ქრისტიანული ოჯახი უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის საიდუმლოებად.

როგორი ამაღლებულია ეს ყველაფერი, როგორი სათუთია და გასაფრთხილებელი! ჩვენი ახალგაზრდები კი, სამწუხაროდ, მოუშვადებელნი ხვდებიან ამ უდიდეს საიდუმლოს.

თანამედროვე მსოფლიოში ოჯახურ ფასეულობებს ენაცვლება მხარეთა მერკანტიული ინტერესები. ე.წ. პარტნიორული ურთიერთობები, რომელსაც თან სდევს გარეშე თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმები. მეცნიერულ-ტექნიკურმა წინსვლამ კი ისეთი მძიმე ეთიკური საკითხები დააყენა დღის წესრიგში, როგორც მანამდე არ სმენოდა კაცობრიობას: ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბავშვები, სუროგატი დედები, გენების შერწყმა, კლონირება და ა.შ.. „ჰუმანისტები“ მხარს უჭერენ აბორტს, ევთანაზიასა და თვითმკვლელობას.

ამასთან, მათთვის მეცნიერული პროგრესი აბსოლუტიზირებულია და მიიჩნევენ, რომ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს. ეს ეთიკური სოფიზმია, რადგან ის, რაც ტექნოლოგიურად მიღწევადია, ყველაფერი როდია მორალური და სასარგებლო.

მიზანი ამართლებს საშუალებას, - ესეც მათი ცხოვრების წესია და ესეც სოფიზმია, რადგან არც ყველა მიზანი კარგი და არც ყველა საშუალება მისაღები, თუნდაც კარგი მიზნისათვის.

მაგალითად, ფაშისტებს ქონდათ ებრაელების განადგურების სურვილი. განა ეს მიზანი შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს?! ანდა იმისთვის, რომ კაცობრიობის ჯანსაღი ნაწილი მეტად

იყოს დაცული, ნუთუ შეიძლება ვინმემ გაამართლოს შიდასი დაავადებულთათვის სიცოცხლის მოსწრაფება?

განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩრებელი ჯერჯერობით არავინ არის.

შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება? ეს პატარა ხომ თავიდანვე განირჩევა უსიყვარულობისათვის, მიუსაფრობისა და მარტოობისათვის. იგი კეთილდღეობაშიც რომ გაიზარდოს, მუცლადყოფნის პერიოდის ამ სიმძიმეს ვერაფერი შეცვლის და ეს, აუცილებლად, იჩენს თავს ზრდასრულ ასაკში.

პრობლემატურნი იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა.

ის, რომ კაცთა მოდემას არ შეუქმნია ოკეანე, ხმელეთი, ციური სხეულები და ბალახიც კი (ალარაფერს ვამბობთ ადამიანზე), ცხადზე ცხადია. აქამდე მხოლოდ ბიოლოგიურად საინტერესო ქიმიკატები (მაგ. ამინომჟავები) მიიღეს, შეჯვარდა და შეარეთეს სიცოცხლის უკვე არსებული ფორმები და სხვა არაფერი.

ხოლო, თუ ჩვენ არ მოგვიტანია სიცოცხლე ამ ნუთისოფელში, რა უფლება გვაქვს მოვინდომოთ ბატონობა მასზე? რატომ ვისაკუთრებთ მას, რაც ჩვენი არ არის?

ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური დიდი წინსვლისა, არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ სიკვდილს. რატომ? ჩვენ ხომ ყოვლისშემძლენი ვართ? სინამდვილე კი სხვა არის. უფალი ეუბნება მოსეს: „მე კვლავ და მე ვაცოცხლებ“ (II რჯ.32,39). იობის წიგნიც იგივე აზრია: სიცოცხლე „უფალმა მომცა, უფალმა წაიღო“ (იობი 1,21).

ამიტომ, არავითარი უფლება არა გვაქვს ხელვყოთ უფლის ეს წყალობა და ვინც ამას აკეთებს და არ შეინანებს, დაისჯება!

მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კარგი ოჯახები მაინც მრავლად არის საქართველოში, რაც ქვეყნის გადარჩენის გარანტიაა.

მე მინდა დავლოცო ჩვენს სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართული ოჯახი, ასევე ვლოცავ ჩვენი ქვეყნის მკვიდრ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ოჯახებსაც და ყველას გისურვებთ ღვთისსათნო გზით სვლას, უფლის შიშითა

და სიყვარულით ცხოვრებას, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა.

ამასთან, ვითვალისწინებთ რა იმ მართლმადიდებელი ადამიანების დამსახურებას, რომელთაც ბოლო 20 წლის მანძილზე, ეკონომიურად მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენს სამწყსოს 4 და მეტი შვილი შესძინეს, მივიღეთ გადაწყვეტილება, ასეთი მშობლები და შვილები განსაკუთრებულად შევავედროთ უფალს და პატრიარქის სიგელით დავაჯილდოვოთ.

მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა.

რომელი წარმავალი სიმდიდრე შეედრება დედამიწეილების გვერდზე დგომასა და სიყვარულს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ჩვენს მეტად რთულ დროში. თვითონ მშობლებიც უდიდეს ენერჯის იღებენ მათგან, რადგან თითოეული შვილი ცალკე აღებული საოცარი სამყაროა.

მრავალშვილიანობა იმითაც არის ფრიად სასურველი, რომ ბავშვი პატარაობიდანვე სწავლობს ეგოიზმის დაძლევის, სხვაზე მზრუნველობას და მშობლებისგან მომდინარე სიყვარულის სხვისთვის განაწილებას.

ვისაც სამი და მეტი ბავშვი ჰყავს, კარგად იცის, ხშირად როგორ უჭირს პირველ შვილს ახლად დაბადებულ მეორე ჩვილთან შეგუება და სულ ეძებს დროს, რაიმეთი ავნოს მას; მესამე პატარის შემატებას პირველი უფრო ადვილად იტანს, მეორე კი უფრო მეტად განიცდის, მაგრამ ისე არა, როგორც პირველ შვილს უმძიმდა თავიდან, მეოთხე ბავშვის დაბადება უკვე ანონასწორებს ყველაფერს და ა.შ.

ანუ შეილთა სიმრავლე მათი სწორად აღზრდის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ასეთ გარემოში „მე“-ზე ორიენტირებული სულისკვეთება სიყვარულის გამრავლებითა და გაცემით იცვლება და თუ ამას სწორი აღზრდაც დაემატა, მივიღებთ იმ მდგომარეობას, რაზეც ბიბლია ბრძანებს: ქალი შეილთა სიმრავლით ცხონდებაო (I ტიმ. 2,15).

ამ საქმეში მთავარი როლი და პასუხისმგებლობა დედას ეკისრება. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ხშირად ფსევდოკულტურითა და ცრუ თავისუფლებით არიან გატაცებულნი, როდესაც დედები ხდებიან, მათში სხვა გრძნობები იღვიძებს სხვა აზროვნება უყალიბდებათ, რადგან სწორედ ისინი ხდებიან სიყვარულით მსახურების მთავარი მომქმედნი და ეს იწვევს სწორედ შინაგან ფერიცვალებას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეუღლეებმა, რომელთაც საკუთარი შვილი არ ყავთ, ეს ტრაგედიად არ უნდა მიიჩნიონ; მთავარია მათი ერთად ცხოვრება სასუფეველის დამკვიდრებისთვის მომზადებად იქცეს.

სასურველია ბავშვის აყვანაც. ეს დიდი მადლია და ამ შემთხვევაში მათ

ეკლესიაში საგანგებო ლოცვა ეკითხებათ.

* * *

ამქვეყნიური ჩვენი ყოფა დროებითია და მსწრაფლწარმავალი. დრო კი რომელშიც ვცხოვრობთ, წრიულია, განმეორებადი და, ამავე დროს, სწორხაზოვანი, - მიემართება დასაწყისიდან დასასრულისკენ. ამასთან, სხვადასხვა ქმნილებისათვის ყოფის ხანგრძლივობა სხვადასხვანაირია: ზოგისათვის - რამდენიმე საათი, ზოგისთვის - რამდენიმე დღე, სხვისთვის - წლები, საუკუნეები ან საერთოდაც ათასწლეულები.

სამყარო და დრო ერთდროულად გაჩნდა. აი, როგორ მიმართავს ნეტარი ავგუსტინე უფალს: „შენა ხარ დროის შემომქმედი; არ არსებობს დრო შენი თანამარადისი რომ იყოს, რადგან შენ წარუვალი ხარ, ხოლო დრო რომ წარუვალი იყოს, დროც აღარ იქნებოდა იგი.“

სამოთხეში ყოფნის პერიოდს მამები „წმინდა დროდ“ მოიხსენებენ. იგი სხვა სახისა იყო და იქ არც ადამი არც ევა არ ექვემდებარებოდნენ მის მდინარებას. ის დრო კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დადგა ცოდვით დაცემის შემდეგ.

პირველი ადამიანები, მოაკლდნენ რა „ცხოვრების ხის“ ნაყოფს, - ანუ უფალთან ურთიერთობის შესაძლებლობას, დაკნინდნენ; მათი აზროვნების წესიც შეიცვალა და მინიერი ყოფით შემოიფარგლა, თუმცა ღტოლვა სამოთხისა და ღვთისაკენ კვლავ დარჩათ. ამიტომაც ადამიანი გაორდა, გაორდა მისი ამქვეყნიური დროც: ლიტურგიკული დროით იგი კვლავ უკავშირდება ღმერთს, ხოლო ყოფითი დრო მოიცავს ცხოვრების იმ ნაწილს, რაზეც ბიბლიაში წერია: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“ (ეკლ. 1,2).

დროის გაყოფა ყველაზე რეალური სახით მოხდა პირველი მსხვერპლშენიერის შემდეგ, როდესაც კაენმა უფლის ძღვენი ამპარტაუნების სულით გაიღო, ხოლო აბელმა - გულწრფელი, უშურველი სიყვარულით.

კაენის შური შულში გადაიზარდა, აბელის მოკვლით კი მასში მინიერი და ეგოისტური სული იმდენად გაძლიერდა, რომ ღვთის პირისაგან თავისი ნებით საბოლოოდ მიეფარა და აღარ უნდოდა უფალთან ურთიერთობა; ამით დასრულდა მისი ლიტურგიკული დროც, რამაც მხოლოდ მინიერი ყოფის სურვილი გაუღვივა და გამოიწვია სიკვდილისადმი ძრწოლა, ანუ შემოქმედთან შეხვედრის შიში. (ზოგადად ასეთივე დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ღვთის სანინაღმდეგოდ ცხოვრობენ.)

აბელს კი, მართალია, ამქვეყნიური ყოფა ნაერთვა, მაგრამ მისი ლიტურგიკული დრო მომავალი მარადიული ნეტარი ცხოვრების საწყისად იქცა. დედამიწაზე კი მისი გზა სეთიმა და მის-

მა მოდგამამ გააგრძელეს.

რას ნიშნავს ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ლიტურგიკული დროით ცხოვრება?

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, ნუთისოფელში ანმყო, ფაქტიურად, არ არსებობს; ის, რასაც ანმყო ვარქმევთ, იმ ნამსვე იქცევა წარსულად. ასე რომ, ჩვენ წარსულსა და მომავალს შორის ვიმყოფებით. მარადისობაში კი მუდმივი ანმყოა. იქ წარსული და მომავალი არ არსებობს. და თუ გვსურს, სწორად ვიცხოვროთ, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ჩვენს წარმავალ დროში მარადიულობა შემოვიყვანოთ და დრო მოძრავ მარადისობად ვაქციოთ (წმ. იოანე დამასკელი).

ეს საიდუმლო ეკლესიაში აღესრულება. ამიტომაც კარგავს აქ დრო თავის ძირითად ფიზიკურ თვისებებს, - შეუქცევადობას და სწორხაზოვნობას, რაც საეკლესიო დღესასწაულთა განმეორადობით, წრიული მდინარებითა და მათი განმაახლებელი მოქმედებითაა განპირობებული.

ჩვენ აქ მუდმივად ვხდებით თანამონაწილე სამყაროს შექმნისა, მამამთავართა და წინასწარმეტყველთა ეპოქისა, მაცხოვრისა და მისი მოწაფეების და წმინდანების ცხოვრებისა, საერთოდ ადამიანისა და სამყაროს ხსნის შესახებ საღმრთო განგებულების ისტორიისა.

ყოველ დღეს თავისი დატვირთვა აქვს: კვირა საღვთისმსახურო ციკლის ცენტრს, - ქრისტეს აღდგომას წარმოადგენს. ორშაბათი, ზოგადად, ანგელოზთა დღეა, სამშაბათი - წმ. იოანე ნათლისმცემლისა, ოთხშაბათი - ჯვრის, ხუთშაბათი - წმ. ნიკოლოზის, პარასკევი - ჯვარცმის, შაბათი კი - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმ. მოციქულების.

წლის ციკლის ფორმირებაც, პირველ რიგში, აღდგომას უკავშირდება და მას პასექის დღესასწაული განაპირობებს. ამასთან, არის უძრავი და მოძრავი უმნიშვნელოვანესი დღეები, რომლებიც უფლის, ღვთისმშობლის, ზეციურ ძალთა, მოციქულთა და წმინდანების სახელს უკავშირდება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, გარდა ეკლესიური ცხოვრებისა, ლიტურგიკული დროით ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიური ყოფის ისე წარმართვას, რომ ადამიანის გული და გონება მუდმივად იყოს ღმერთთან კავშირში. ეს კი გულისხმობს გაცნობიერებას იმისას, რომ თუ არა უფლის შეწევნა, ჩვენ ვერ შევძლებდით ვერც სუნთქვას, ვერც სიარულს, ვერც აზროვნებას, და რაიმე საქმის გაკეთებას, გარშემომყოფთა და საერთოდ, სამყაროს აღქმას: ვერ მოვიპოვებდით საკვებს, ჩასაცემელს, საცხოვრისს, ვერ შევქმნიდით კულტურას, ვერც მეცნიერულ აღმოჩენებს გავაკეთებთ...

ანუ უნდა დავინახოთ, რომ ყოველივე

უფლის ნებით მოგვეცა, რათა გარემო უკეთესი გავხადოთ, ღვთის მადლიერნი და მისი თანაშემომქმედნი გავხდეთ და არა მოწინააღმდეგენი. თუმცა არჩევანი ჩვენი გასაკეთებელია.

თუ, მაგალითად, შენ პედაგოგი ხარ და მოსწავლეებს ზრდი იმ სულისკვეთებით, რომ იყვნენ სამშობლოს ერთგული შვილები, უყვარდეთ ღმერთი და ერთმანეთი, საერთოდ, მოყვასი, ასწავლი შურის დაძლევის, წყენის დავიწყებას და ადვილად შერიგებას, განსაცდელში მყოფთადმი დახმარებას, უფროსებისადმი პატივისცემას, ბუნების, შრომის, წიგნების კითხვის, ღრმა აზროვნების სიყვარულს და შენც თუ ასევე ცხოვრობ, მაშინ შენი ამქვეყნიური ყოფა მარადიულობით არის განმსჭვალული, რადგან ეგოიზმისგან თავისუფალ ღვთისსათნო აზროვნებას ამკვიდრებ.

თუ შენ დამლაგებელი ხარ და ყოველდღე პატიოსნად და სიყვარულით აკეთებ შენს საქმეს, არ აგვიანებ სამსახურში, ეხმარები მოყვასს, ჰმადლობ ღმერთს არსობის პურისთვის, არ ივიწყებ სულიერ ცხოვრებას და უფლის მცნებებს, შინ და გარეთ კეთილი დამოკიდებულების დამკვიდრებას უწყობ ხელს, შენ ლიტურგიკული დროით ცხოვრობ.

თუ დიასახლისი ხარ და შვილებზე ზრუნვას გირჩევენია, სამსახური გქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკეთესად გაერთო, თუ შენ არაფერს ერიდები, რათა კომფორტული ცხოვრება მოიხსოვო და არ გადარდებ ამისთვის სხვისი მსხვერპლად განირვა, თუ შენ აბორტით ან სხვა თანამედროვე საშუალებებით ახდენ ოჯახის დაგვემარებას, ეგოისტურად ზრდი ბავშვებს, არ ასწავლი მათ მონყალეების გაცემას და გაჭირვებულისადმი თანადგომას, არ ასწავლი მეგობრობას, სიმართლის სიყვარულს, ერთგულებას, - კაენის სულს ვერ მოიცილებ და მისი ხვედრის თანაზიარი გახდები.

„ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი.“ ბრძანებს მოციქული (გალ.6,2). ფიზიკურ და მატერიალურ დახმარებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლოცვით შეწევნას და ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს.

მინდა შეგახსენოთ ანტონი სუროჟელის მიერ მოხმობილი ერთი ამბავი: „იყო ახალგაზრდა მოძღვარი, რომელსაც სხვისი ცოდვების დანახვის უნარი მიეცა და როცა ერთხელ მასთან მეტად მძიმე ცოდვებით სავსე ადამიანი მივიდა აღსარებისათვის, არ მიიღო. თუმცა მალე სინდისმა შეაწუხა და ამის შესახებ გამოცდილ ბერს უამბო. მან უსაყვედურა: როგორ გააბრუნე? ის ხომ სინანულით მოვიდა და შენ იყავი მისი ბოლო იმედი?

ახალგაზრდა მოძღვარი ისე შეწუხდა, ღმერთს სთხოვდა, ნათელხილვის უნარი აღარ ქონოდა. გულწრფელი სინ-

ანულისათვის უფალმა მას თანაღმობის მადლი მიანიჭა. და აი, ერთხელაც, როცა მას მეტად მძიმე ხასიათის სახლის მეპატრონესთან მოუწია ღამის გათენება, იგი აღარ დაბრკოლდა მისი ცოდვების გამო, არამედ ერთ კუთხეში გულმხურვალედ დაიწყო ლოცვა მეპატრონესათვის და თან მის დანაშაულებებს ამბობდა.

მასპინძელი სასულიერო პირის ლოცვით დაინტერესდა და ჩუმად დაუგდო ყური. იგი გაოგნებული ისმენდა თავისი ცოდვების შესახებ ახალგაზრდა მოძღვრის ღვთისადმი ვედრებას და ამან იმდენად შეძრა, რომ იმ დღიდან სრულიად განსხვავებული ცხოვრება დაიწყო.

ასეთი მაგალითები მის ცხოვრებაში მრავლად იყო და როცა ეკითხებოდნენ, როგორ ახერხებდა ადამიანების მოქცევას, მოძღვარი პასუხობდა: „როდესაც ჩემთან მოდის ცოდვით დამძიმებული პიროვნება, რომელიც ვერ ხედავს თავის დანაშაულს და სინანული არა აქვს, ვცდილობ სულიერად მის შინაგან სამყაროს ჩაწვდომ და იმ აზრით, რომ ჩვენ ვართ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ერთმანეთისა, ვინცე სინანულით ლოცვა-ვედრებას მისი და ჩემი, ანუ ჩვენი ცოდვებისათვის და ეს ადამიანიც, ღვთის მადლით, თანდათან იწყებს შემობრუნებას.“

ღმერთმა ჩვენც მოგვცეს ძალა ამგვარი წესით ცხოვრებისა.

მე იმედი მაქვს, რომ, მიუხედავად ჩვენს წინაშე არსებული მრავალი დიდი პრობლემისა, საქართველო გაუძლებს დროის გამოცდას და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ღვთის მადლიერული სული მუდამ იზეიმებს ჩვენს ქვეყანაში.

ქრისტეს ეკლესიის სამწყსოვ: დღეს “მოინია დროის სისრულე, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, ... რათა ჩვენც მიგველო ძეობა“. ასე რომ მონანი კი აღარა ხართ, არამედ ძენი, ხოლო თუ ძენი ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღვთისა მიერ (გალ.4, 4-7).

მაშ, გიხაროდეთ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, რუსებო, იეზიდნო, უდინინო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო ..., ყოველნო შეილნო საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა; გიხაროდეთ ყოველნო ღვთისმოყვარენო: „დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკა 2,11).

თქვენი ერთგულების ნიშნად ანთებულ სანთლებით შეხვდით მას და იმედითა და სიყვარულით მიეგებეთ!

მარადის თქვენთვის მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ქრისტეს შობა 2013-2014 წელი

წერი განსხვავებულ, წერი იმედიანი

2013 წლის სამუშაო გეგმის განხორციელებისას ვხელმძღვანელობდით იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებით: "მსოფლიო ტალანტები, გენიოსები - დიდი პატრიოტები, ამავე დროს დიდი მოყვარენიც იყვნენ კაცობრიობისა". ამ სულისკვეთებით ირჩეოდა ყველა შეხვედრის, კონცერტის თუ კონფერენციის თემა და პროგრამა. მსოფლიო ღირებულების ევროპული თუ ქართულ-აფხაზური შემოქმედების გაცნობა ადამიანებისათვის, რომლებიც დევნილი ქალბატონი-პოეტის, დარიკო ფიფიას თქმისა არ იყოს, "სუთქვანართმულს" დამსგავსდნენ, დიდ და სწორ ნაბიჯად მივიჩნით. ამ იდეის ხორცშესხმა გავგვიადვილა საანგარიშო წლის ისეთმა ღირსსახსოვარმა თარიღებმა, როგორც იყო ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წელი, აგრეთვე, 27 სექტემბერი - საქართველოს ცხოვრებაში ბოლო წლების უდიდესი განსაცდელის 20 წლისთავი.

წელი დანყო ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენის სპეციალური ნომრის გამოშვებით, რომელიც მკითხველს აცნობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II სამუბაო ეპისტოლეს, აფხაზეთის მთავრობის, სამღვდლოებისა და ხელოვნებისა და კულტურის დარგის წარმომადგენელთა მისაღვივებელი იდეებსა თუ პოეტურ ქმნილებებს და ფოტომასალას, რომელშიც აისახა საპატრიარქოსთან ცენტრის თანამშრომლობის გზა ცენტრის დაარსებიდან დღემდე. უღრმესმა მადლიერებამ ჩვენი სულიერი მამის მიმართ, მისი დიდი სიყვარულისა და ზრუნვის გამო იმ კუთხის მიწის შვილებისადმი, სადაც მან 11 წელი იმოღვაწა, განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე რთულად განსახორციელებელი პროექტი - "საიუბილეო მუსიკალური მიძღვევა პატრიარქს". აღნიშნული საღამოს პროგრამის მომზადებას დასჭირდა 1,5 თვე და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერა, რისთვისაც მას ცენტრი უღრმეს მადლობას უძღვებდა. საღამომი დაკავებულ ნიჭიერ სოლისტ-მომღერალთა ანსამბლმა პატრიარქის საგალობლებთან ერთად მოამზადა და წარმატებით შეასრულა (16 დეკემბერი) იუბილარი ევროპელი (ვერდი - 200, ვაგნერი - 200) და ქართველი კომპოზიტორების (მელიტონ ბალანჩივაძე - 150, ალექსი მაჭავარიანი - 100) ნაწარმოებები.

ცენტრმა დაამკვიდრა დიმიტრი გულიას შემოქმედების წარმოჩენისა და პატრიის მიგების ტრადიცია. ყოველ წელს, 21 თებერვალს, ამ გამოჩენილი მოღვაწის მრავალმხრივი საქმიანობის პროპაგანდა, როგორც შეხვედრის მონაწილეთათვის, ისე დამსწრეთათვის, იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ-აფხაზური კულტურის ფესვები მყარია და მის შემდგომ განვითარებას წინ ვერაფერი დაუდგება. წლებადღამე შეხვედრაში მონაწილეობდნენ ახლადგამოცემული ანთოლოგია "მცირე გულანის" სარედაქციო ჯგუფი და ავტორები.

კინოხელოვნების ფესვთა სახლში წარმოდგენილმა ფილმმა "გალობის რაინდები" (11 მაისი), რომლის შექმნის ისტორიაც მაყურებელს ფილმის რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ გააცნო, დამსწრე საზოგადოების დიდი მონონება დაიმსახურა. ფილმმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავას პატრიარქის სიტყვები გაახსენა: "ყველა, თუნდაც ძალიან პატარა ადამიანი, შეიძლება მოიგოს დიდი ომი" და ნანახი შემდეგნაირად

შეაფასა: "ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა აღიზარდოს ერი".

კვლავაც ღრმავდება და ფართოვდება ურთიერთობები საქართველოს ორგანიზაციის-დანერტელებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს: ჩეხურ დიასპორა "ზღაგა პრალასთან" ერთობლივად გამართული კონფერენცია თემაზე "სულიერი უსაფრთხოების პრობლემები" (10 ივლისი), მშვიდობის მსოფლიო ფედერაციის სემინარი სოფელ ქვეშეთში თემაზე "ქალები და მშვიდობა მთელ მსოფლიოში" (23 მაისი), კლუბ "ახალგაზრდობა ახალგაზრდობისათვის" დიალოგი თანამედროვეობასა და გლობალიზაციის საკითხებზე (9 მაისი); ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექციის მოწვევით ქართული მუსიკის კლასიკოსის დაბადების დღეს (3 აგვისტო) კომპოზიტორის ურთიერთობებზე აფხაზურ მუსიკასთან მუსიკოლოგ სვეტლანა ქეცებას საუბარი, წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია "ერთსულოვნების" დაბრუნება ანსამბლ "კვირიასა" და საბრძოლო ხელოვნება "შაფაროსნების" წარმომადგენლებთან (15 მარტი) შეხვედრა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან "საბავშვო მუსიკის კვირეულში" მონაწილეობა კონცერტით "ჩვენი აფხაზეთი" (4 ივნისი), სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებულ უსინათლოთა სპექტაკლზე "ისხენით ჩვენი სულები" დევიდო კოლქტიური დასწრების ორგანიზება და სხვ.

წინა წლების მსგავსად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ღონისძიებებს, რომლებიც მონოდედები იყო ეტვირთა საგანმანათლებლო მისია: ასე, მაგალითად, მოწყეო (2 თებერვალი) მასტერ-კლასი სოხუბის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე მევილინებისათვის, რისთვისაც მოვიწვიეთ თბილისში სტუმრად მყოფი სოხუბის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული, აქჟამად საბერძნეთის უნივერსიტეტის მუსიკალური ფაკულტეტის დეკანი, სოლისტი-მევილინე ალექსანდრე ხალაფისი; "რა არის მამული" - ეს იყო თემა თბილისის ზღვაზე მეტარე მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის გამართული (15 მაისი) პოეზიის საღამოსი, რომელზეც მსახიობმა ელდინო საღარაძემ აჩვენა, თუ როგორ უნდა გამოვიყენო ცხადება და გასაგებად პროზას თუ პოეზიაში წადებული ავტორის ეული აზრი, ყურადღება გაამახვილა კითხვის კულტურაზე. მსახიობმა შესძლო მოსწავლეთა დაინტერესება და მათში ხელახლა შეხვედრის სურვილი დაბადა.

ვაშლიჯვრის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ჩვენი მიერ შესახვედრად მონვეულმა (22 ნოემბერი) მამა დავითმა (კონჯარია) ფილმ "ქართული იდეების" დემონსტრირების შემდეგ ისაუბრა იმ დამოკიდებულებებზე, რომელიც თითოეულ ჩვენიგანს უნდა გააჩნდეს ღვთის მიმართ. ამავე სკოლაში მიბრძანებულ იქნა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი (12 დეკემბერი). შეხვედრა დასრულდა ბავშვებისათვის ცენტრის საჩუქრების გადაცემით. ჯვარამ და მედალიონმა იესოს გამოსახულებით მათ დიდი სიხარული მოჰგვარა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II ლოცვა-კურთხევით ცენტრის მონაწილეობით

გაგრძელდა აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების დალოცვა. ქერჩის ქ. №6-ში ჩასახლებული 135 ოჯახის წევრებისათვის მამა დავითმა (კონჯარია), მამა თომამ (შენგელია) და მამა ნიკოლოზმა (სხულუხია) მიაბრძანეს ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი (28 მარტი) და გადაიხადეს პარაკლისი. ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ კვირაცხოვლობას (12 მაისი) ფოთში ახალ აია სოფიად ნოდებულ ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის კურთხევას.

მონაწილეობა მივიღეთ (8 ივლისი) აჭარაში გახსნილ ემიგრანტი ქართველების ფესტივალში "მზიანი საქართველო". ფესტივალის დასასრულს როსტოვის ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "კოლხიდას" წევრები, რომელთაგან უმრავლესობა ლტოლვილი იყო, თბილისში სვეტლანა ქეცებას ძალისხმევით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიიღო.

ოფისში ჩატარებული თავყრილობიდან თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით გამოყოფას იმსახურებს: შეხვედრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის 2013 წლის ლაურეატებთან - კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილსა და პოეტ გენო კალანდიაშვილს (11 ივლისი); დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი საღამო (7 მარტი), რომელიც წარიმართა წარჩინებულ ქალთა პირადი მოვლენებით. ყოველ მათგანში იკითხებოდა დიდი სიტობი და სიყვარული აფხაზი ახლობლებისადმი იმ ურთიერთობების გამო, რომელიც მათ წარსულში ასაზრდოვდათ.

2013 წელი ქართულმა ეკლესიამ წმ. თამარ მეფის ხსენების წლად გამოაცხადა. ამ ფაქტს გამოვეხმაურეთ ბიულეტენის მკითხველთათვის (№2) კოტე მაყაშვილის ოდის "თამარ მეფეს, თამარ წმინდას, თამარ მშვენიერს" შესვენებით.

წლის დასასრულს (17 ოქტომბერს) აფხაზეთის მთავრობამ აფხაზურ-ქართული კულტურის საქმეში შეტანილი წვლილისათვის საიუბილეო საღამო გადაუხადა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, წმ. გიორგის ოქროს ორდენის კავალერს, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარეს, მუსიკოლოგ სვეტლანა ქეცებას.

აღნიშნულ ღონისძიებათაგან ზოგიერთი იმსახურებდა ტირაჟირებას საქართველოს რეგიონებში, მაგრამ ბიუჯეტში მიზნობრივი თანხის არარსებობის გამო შეუძლებელი გახდა. ერთ-ერთი ამ საღამოთაგანი იყო "საიუბილეო მუსიკალური მიძღვევა პატრიარქს" და კონცერტი "გიყვარდეს და გადარჩები". პირველი მათგანის პროგრამა შედგენილი იქნა პატრიარქის საგალობლებისა და 2013 წლის იუბილარი კომპოზიტორების: ვაგნერის, ვერდის, მელიტონ ბალანჩივაძისა და მაჭავარიანის საგუნდო და კამერული ნაწარმოებებისაგან. საღამოსათვის საგანგებოდ მოვიწვიეთ ნიჭიერი ახალგაზრდა ვოკალისტები. პროექტი განხორციელდა (16 დეკემბერი) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით. მეორე მიძღვნა 27 სექტემბრის მოვლენებს და მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებული ახალგაზრდები. საღამომ (17 სექტემბერი) ნათლად გვიჩვენა, რომ აფხაზეთიდან გამოდევნილმა ოჯახებმა არ დაყარეს ფარ-ხმალი, მათი შთამომავლობა ბევრ სფეროში წარმატებულია და წინ დიდი მიზნებიც აქვს.

საიუბილეო მუსიკალური მიძღვნა

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მყუდრო დარბაზი 2013 წლის 16 დეკემბერს მასპინძლობდა ცენტრის ღონისძიებას "საიუბილეო მუსიკალური მიძღვნა". აღნიშნული პროექტის განხორციელებით ცენტრმა წლის უმნიშვნელოვანესი საიუბილეო თარიღების ერთგვარი შეჯამება მოახდინა, რისთვისაც დიდ მადლობას უხდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისათვის.

სალამო კონცერტის მოკლე მიმოხილვით გახსნა სვეტლანა ქეცბამ. დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა შემსრულებლები. "სამწუხარო იქნება, თუ მაყურებლის წინაშე ასეთი საინტერესო საკონცერტო პროგრამის მხოლოდ ერთხელ წარდგენას დავჯერდებით," - თქვა სალამოს დასასრულს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, მუსიკოლოგმა ლიკა კოპალეიშვილმა.

საპარტიფლოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი

2013 წლის 16 დეკემბერს, 18.00 საათზე

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების დარბაზში აწყობს კონცერტს

"საიუბილეო მუსიკალური მიძღვნა"

გთხოვთ გვეწვიოთ

პროგრამაშია:

რიხარდ ვაგნერის (1813-1883), ფუხუბე ვერდის (1813-1901), მელიტონ ბალანჩივას (1863-1937), ალექსი მაჭავარიანის (1913-1996) ნაწარმოებები, პატრიარქის (1933) საგალობლები

მონაწილეობენ:

სოლისტი-მომღერლები: სალომე ჯიქია, მარია მაჩიტაძე, ნინო ჩაჩუა, ეკა ჯუჯულავა, ირინე ალექსიძე, ქეთინო ხომერვი, არმან დარაშვილი, მამუკა მანჯგალაძე, ფილიპე ლაჭავაძე, ბექა ვავახიშვილი, ალუდა თოდუა, გიორგი წამლაშვილი, ილია ათანელიშვილი, ლევან მაკარიძე.

პიანისტი: ელისო ასათიანი
დირიჟორი: გელა ფარჩუკიძე



პ რ ო გ რ ა მ ა

ილია II. საგალობლები: „უფალო, შეგვიწყალო“, „უფალო იესო ქრისტე“, „მოდო ჩემთან, უფალო“, „წმიდაო ღმერთო“. ასრ. **ანსამბლი**, დირიჟორი **გელა ფარჩუკიძე**

ვერდი. სამი ნაწილი „რეკვიემიდან“: „ინჯემისკო“, „რეკორდარე“ და „ლაკრიმოზა“. ასრ. **სალომე ჯიქია, ირინე ალექსიძე, არმან დარაშვილი, ლევან მაკარიძე.** ფორტეპიანოსთან **ელისო ასათიანი**

ბალანჩივაძე. გოჩას არია „ღმერთო, ძლიერო“ ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“. ასრ. **გიორგი წამლაშვილი**, ფორტეპიანოსთან **ელისო ასათიანი**

ვაგნერი. „მლოცველთა გუნდი“ ოპერა „ტანჰოიზერიდან“. ასრ. **ანსამბლი**, ფორტეპიანოსთან **სალომე ჯიქია**

მაჭავარიანი. რომანსი „არ დაიდარდო, დედაო“. ასრ. **ფილიპე ლაჭავაძე.**

ბალანჩივაძე. „ცირას ნანა“ ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“. ასრ. **ნინო ჩაჩუა და ქალთა ანსამბლი.**

ვაგნერი. „კოლფრამის არია“ ოპერა „ტანჰოიზერიდან“. ასრ. **ალუდა თოდუა.**

მაჭავარიანი. „დოლური“. ასრ. **ანსამბლი.**

მაჭავარიანი. რომანსი „გული მთისაკენ მიმინევს“. ასრ. **მარია მაჩიტაძე.**

ვერდი. გუნდი ოპერა „ნაბუკოდან“. ასრ. **ანსამბლი**, ფორტეპიანოსთან **სალომე ჯიქია**

ვერდი. კვარტეტი ოპერა „რიგოლეტოდან“. ასრ. **მარია მაჩიტაძე, არმან დარაშვილი, ირინე ალექსიძე, ალუდა თოდუა**, ფორტეპიანოსთან **ელისო ასათიანი**

ილია II. „ავე მარია“. ასრ. **ანსამბლი**, სოლისტი **სალომე ჯიქია**, დირიჟორი **გელა ფარჩუკიძე**

მორიგი შეხვედრა მე-2 საჯარო სკოლაში

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა ტრადიციად დაამკვიდრა აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაზე და საჯარო სკოლებში სულიერი მონყალეების საკითხებზე ზრუნვა, რაც მოიცავს ხატის მიბრძანებას, ოჯახთა და სკოლების კურთხევას, ნათლობებს, საუბრებს მოძღვართან. ამჯერად აფხაზეთის მე-2 საჯარო სკოლის აღსაზრდელებს ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმი "ქართული იდეა", რომელიც შექმნა სტუდია "გუთანმა" და მიმართულია მომავალი თაობის პატრიოტული და სარწმუნოებრივი მოტივაციის ამაღლებისაკენ. ფილმის ჩვენების შემდეგ განხილვაზე ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. მოძღვარმა დავით კონჯარიამ მოუწოდა მოსწავლეებს ღრმად ჩაფიქრებულიყვნენ ფილმის შინაარსზე, გაეცნობიერებინათ, რამდენად დასაცავი და გასაფრთხილებელია ქრისტიანული რწმენა, ქართული იდეა, რომ წინაპრების მონამეობრივად შემონახულ სარწმუნოებას სჭირდება მოვლა. მომავალი თაობის გულში უნდა ჩაისახოს ახალნერგი ჭეშმარიტი რწმენისა, მამულისათვის თავდადებისა და მოყვასისი საკუთარი თავით სიყვარულისა, რომ მამულის გამთლიანებისათვის ურყევი რწმენა და მოყვასის თავდადებული სიყვარულია საჭირო, სიყვარულის თავი და თავი კი მტრის სიყვარულიცაა.

კიდევ ერთხელ ხელის ჩრდილოების თეატრზე

წლის ბოლოს, 21 დეკემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში მოეწყო დევნილთა კოლექტიური დასწრება ხელის ჩრდილების თეატრის სპექტაკლზე "რა საოცარი დღეა". სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებელს სვეტლანა ქეცბამ მიმართა:

"დღეს ჩვენ მოგინვიეთ ხელის ჩრდილების თეატრის მორიგი სეზონის საკმაოდ უჩვეულო სპექტაკლზე, რომელიც კაცობრიობის განვითარების ეტაპები ჯაზური მუსიკის მეშვეობითაა გადმოცემული. თავიდან მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმაზე, თუ საიდან დაიწყო კინოცენტრი და ხელის ჩრდილების თეატრი. ეს მოხდა სულ მალე აფხაზეთის ჩამოშორებიდან, როცა ასობით ბავშვი აღმოჩნდა კატასტროფის ზღვარზე. მაშინ ყველასათვის კარგად ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა, დიდი სულისა და ნიჭის ადამიანმა შემოიკრიბა ნიჭიერი

ბავშვები, ასწავლა მათ, აღზარდა, მისცა პროფესია. ყოველთვის მივირბოდა, როგორ პოულობდა გელა კანდელაკი მათი დაპურების საშუალებას და როგორ უწევდა მამობას. გადიოდა წლები. შრომობდნენ თავდაუზოგავად და მასთან ერთად დიდი მიღწევებიც ჰქონდათ. საფრანგეთსა და გერმანიაში წარმატებით აჩვენეს ფილმი ვან გოგზე, ბრწყინვალედ ჩაიარა გასტროლებმა გერმანიაში, ირანში, საერთაშორისო ფორუმზე ინდონეზიაში, სისტემური გახდა გამოსვლები თბილისში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გადაიღეს დოკუმენტური ფილმი ჩვენს ქვეყანაზე "ხმელეთის 0,047%" - გულწრფელი, უჩვეულო, გონიერი და ჭკუის სასწავლებელი. დააარსეს ფესტივალი ნიქოზში. მე-3 ფესტივალზე ნაჩვენები იყო იმ ბავშვების მიერ შექმნილი ფილმები, რომლებიც ყველაზე პატარა თაობას წარმოადგენენ, ბავშვებისა, რომლებმაც უკვე იცინან, რა არის ომი და

ოცნებობენ მშვიდობაზე. ფესტივალის ყველა ცნობილი მონაწილე მზად არის მიმართოს იუნესკოს, რათა მან ეს ფესტივალი თავისი მზრუნველობის არეში მოაქციოს. ამ ფესტივალისადმი დიდი ინტერესი გამოიკვეთა ბულგარეთში. დღეს ჩვენ შეგვიძლია მივულოცოთ ჩვენს ძვირფას გელა კანდელაკს თეატრალურ ფესტივალ "საჩუქრის" ჩარჩოებში თუმანიშვილის სახელობის პრემიის მინიჭება.

ამჟამად კინოცენტრი და ხელის ჩრდილების თეატრი დასხლასვე ცხოვრებით ცხოვრობს. საინტერესო გეგმებით - მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან ახალი სპექტაკლების დადგამდე. ასევე მსურს ვუშუამდგომლო კოლექტივს, რათა მას გამოეყოს სახსრები ავტოკატასტროფაში დაღუპულ მსახიობ შოთა თურქიას სცენარზე ფილმის შესაქმნელად და კოლექტივის სხვა მნიშვნელოვან ჩანაფიქრთა განსახორციელებლად".



წერილი თოვლის პაპას

20-წლიანმა განშორებამ აფხაზეთიდან დევნილთა გულში საკუთარი კერისა და მამა-პაპათა საძვალეების სიყვარული ვერ გაანელა. ამას აქ, თბილისში დაბადებული, მაგრამ სოხუმელობით ამაყი პატარა გიორგი კოპალიანის წერილიც მოწმობს, რომელიც მან თოვლის პაპას მისწერა და შემთხვევით ჩვენც ჩავცივარდა ხელში:

„გამარჯობა, თოვლის პაპა! როგორ ბრძანდებით? მე გიორგი ვარ, კოპალიანი. მე 6 წლისა ვარ, მე-2 კლასში ვსწავლობ. მე მინდა, რომ მშიერი და ობოლი ბავშვები არ არსებობდნენ და ბოროტი ადამიანები, რომლებიც ბომბებს ამზადებენ და სოფლებს აფეთქებენ. არ მინდა, რომ ომი იყოს. მე მინდა, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო კარგად იყოს. იცი, მე სოხუმელი ვარ და ჯარისკაცი უნდა გამოვიდე, რომ ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო, ჩემი სოხუმი, ჩემი აფხაზეთი დავიბრუნოთ, ყველას სიკეთე მივცე და ადამიანები გავახარო.

მე საჩუქრები აღარ მჭირდება, დამასაჩუქრებს დედ-მამა. ველი შენს პასუხს. გიორგი კოპალიანი“

გვჯერა, რომ ასდება პატარა გიორგის სურვილი და აღარ იქნება ომი, ბოროტი ადამიანები აღარ დაამზადებენ ბომბებს და გიორგისაც აღარ დასჭირდება ჯარისკაცობა აფხაზეთის, სოხუმის დასაბრუნებლად. ამას ის თაობა გააკეთებს, ვისაც მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მომხდარის გამო. პატარა გიორგისა და მის თანატოლებს კი ვუსურვებთ, რომ ბედნიერად ეცხოვროთ ერთიან, ძლიერ საქართველოში!

წმინდა მიწა და წინასწარმეტყველი ღვთის

(ქრისტეშობის დღესასწაულის შეძევ)

წმინდა მიწა და წინასწარმეტყველი ღვთისი ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხორციელი წინაპარი იყო. იგი, იუდას ტომის ჩამომავლის, ბეთლემელი იესეს უმცროსი ძე - სიჭაბუკეში მამამისის ფარას მწყემსავდა. როცა მიწა საუღმა ხელი აიღო ღვთის მცნებათა აღსრულებაზე, გულთამხილავმა უფალმა ღვთისი გამოარჩია სამეფოდ და წინასწარმეტყველი სამოელის ხელით სცხო მას „ზეთითა ცხებულებსა მისისადათ“.

წმინდა ღვთისი იყო „კაცი. გულისხმის-მყოფელი, მწვე ბრძოლასა, სრულ

ძალითა და ბრძენ სიტყვითა და კეთილ საქმითა“ (1 მეფ. 16, 18). ფილისტიმელთა თავდასხმის დროსაც უფალი შეენია ნეტარს და შურდულით ადვილად დაამარცხა აბჯარასხმული გოლიათი, რამაც ბრძოლის ბედი ისრავლათა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამის შემდეგ ხალხმა ძალიან შეიყვარა წმინდანი. ამან საული შურით აღავსო, მან ღვთისადმი მტრობა ჩაიღო გულში და იმ დროიდან მოყოლებული მრავალი განსაცდელი დაატეხათავს ნეტარს. უფლის რჩეული მოთმინებით იტანდა ყოველივეს - მას ორჯერ

შეეძლო მოეკლა დაუძინებელი მტერი, მაგრამ ხელი არ აღმართა მასზე: „არა მივყო ზელი ჩემი უფალსა ჩემსა ზედა, რამეთუ ცხებულის უფლისადა არს ესე“ (1 მეფ. 24, 11). საულისა და მისი ძის დაღუპვის შემდეგ ღვთისი ისრაელის სამხრეთ ნაწილის მეფედ დაადგინეს. მას შემდეგ კი, რაც საულის მეორე ვაჟი მოკლეს, იგი მთელი სამეფოს მმართველი შეიქნა. წმინდანი ააშენა ახალი დედაქალაქი - იერუსალიმი („სახლი მშვიდობისა“), აქ ახალი სკინია მოანყო და მოსეს ძველი კარვიდან დიდი ზეიმით გადაიტანა მასში

სჯულის კიდობანი. თავად მეფე სიმღერითა და ცეკვით მიაცილებდა სინშიდეს. დავითს სურდა, მოძრავი კარვის ნაცვლად ტაძარი აეგო უფლისათვის, მაგრამ ზეგარდამო ეუწყა, რომ ამ სურვილის აღსრულება მას არ ეწერა - იგი მის ძეს უნდა განეხორციელებინა.

ბოლოს წმიდა დავითის ღვთივსათნო ცხოვრებაც დააბნელა მძიმე შეცოდებამ: მან ერთი ჰურიის პირმშენიერი მეუღლე შეირთო ცოლად, თავად ურია კი ბრძოლაში მოაკვლევინა. ამ დაცემისთვის იგი მწარედ დაისაჯა: სამოელ წინასწარმეტყველმა ამცნო, რომ ბერსაბესგან შობილი საყვარელი შვილი მოუკვდებოდა. ღრმა სინანულით შეპყრობილმა წმიდანმა სწორედ ამ დროს შექმნა თავისი 50-ე ფსალმუნი: „მინყალე მე ღმერთო.“

ერთი შვილის სიკვდილით არ დამთავრებულა წმიდა მეფის უბედურება: ამის შემდეგ მეორე ძე - აბესალომი აღსდგა მამის წინააღმდეგ და მისი ტახტი-

დან ჩამოგდება მოინადინა. დავითმა არ ისურვა შვილის წინააღმდეგ ბრძოლა და სარდლობა სხვას გადააბარა, ერთი კი ითხოვა - არ მოეკლათ, დაენდოთ აბესალომი. დავითის მხედრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მეფის სათხოვარი ვერ შეასრულეს. დამწუხრებულმა მამამ ცრემლებით გამოიტირა შემცოდე შვილი.

დავით მეფემ ორმოცი წელი იმეფა. კეთილმსახური და მართალი ცხოვრების, სიმდაბლის, მოთმინებისა და ურყევი სასოებისთვის წმიდანმა ისეთი სიყვარული და მონყალეობა დაიმსახურა უფლისაგან, რომ მან აბრაამისთვის მიცემული ყველა აღთქმა დაუმტკიცა ნეტარს, საყდრის ურყეობა, კურთხევა, თესლის გამრავლება აღუთქვა და ამცნო, რომ მისი შტოდან აღმოცენდებოდა მსხენელი სოფლისა.

წმიდა წინასწარმეტყველმა დავითმა დაავითოვა 150 ღვთივსულიერი ფსალ-

მუნი. ცნობილია, რომ როცა იგი ამ საგლობლებს ქნარზე ამღერებდა, ეშმაკისგან ქენჯნულ საულს ბოროტი განეშორებოდა (მეფეთა 16,23). ბასილი დიდი ფსალმუნთა წიგნზე წერდა: იგი „წინასწარმეტყველებს მომავალზე და შეგვახსენებს ისტორიასაც, იძლევა ცხოვრების კანონებს და რჩევას საქმეთა კეთებისას. კურნავს სულის ძველ წყლულებს და ახლებსაც მსწრაფლ არჩენს, სწეულს აღადგენს, უვნებელს კი იფარავს. საერთოდ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ანადგურებს ვნებებს, რომელნიც კაცის ცხოვრებაში მის სულზე სხვადასხვაგვარად ბატონობენ“.

დავით მეფე მშვიდობით მიიცვალა. სიკვდილის წინ მან ტახტი თავის ძეს, სოლომონს უანდერძა და უკანასკნელად დამოძღვრა იგი.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2008 წ.

საკლესიო კალენდარი

- 1 თებერვალი (შაბ.) — ღირ. ანტონ მარტყოფელის ხსენება (VI ს.); — ღირ. მაკარი დიდის (ეგვიპტელის) ხსენება (390-391 წ.);
- 2 თებერვალი, სულთმოფენობიდან 32-ე კვირა — წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენება (1944 წ.); — ღირ. მაქსიმე ბერძენის ხსენება (1556 წ.); — ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (662 წ.); — მოციქულ ტიმოთეს ხსენება (დაახ. 96 წ.); — მღვდელმონაზმე კლიმენტისა და მონაზმე აგათანგელოზის ხსენება (312 წ.); — წმ. მელქისედეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, სვეტიცხოვლის განმაახლებლის ხსენება (XII ს.); — წმ. გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის ხსენება (1896 წ.); — წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (389 წ.); — წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენება (1125 წ.);
- 3 თებერვალი (ორშ.)
- 4 თებერვალი (სამშ.)
- 5 თებერვალი (ოთხშ.)
- 6 თებერვალი (ხუთშ.)
- 7 თებერვალი (პარ.)
- 8 თებერვალი (შაბ.)
- 9 თებერვალი, მეზვერისა და ფარისეელის კვირა — წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (438 წ.);
- 10 თებერვალი (ორშ.) მსგეფსი ხსნილია. — ღირ. ეფრემ ასურის ხსენება (373-379 წ.); — მონ. აშოტ დიდი კურაპალატის ხსენება (829 წ.); — მღვდელმონაზმე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (1076 წ.); — წმ. შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენება; — უვეცხლოთა მონამეთა კვიროსისა და იოანეს ხსენება (311 წ.); — მირქმა – მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი; — მართალ სვიმეონ ღმრთისმამრქმელის და ანა წინასწარმეტყველის ხსენება; — ღირ. ევაგრეს (ღირ. შიო მღვიმელის თანამოღვაწის) ხსენება (VI ს.); — მონაზმე ალათიას ხსენება (251 წ.); — ღირ. არსენ იყალთოელის ხსენება (1127 წ.); — წმ. მეფის სოლომონ II (სამშობლოსათვის თავდადებულის) ხსენება (1815 წ.); — დიდმოწ. თეოდორე სტრატელატის ხსენება (3196 წ.);
- 11 თებერვალი (სამშ.)
- 12 თებერვალი (ოთხშ.)
- 13 თებერვალი (ხუთშ.)
- 15 თებერვალი (შაბ.)
- 16 თებერვალი, უძღვები შვილის კვირა
- 17 თებერვალი (ორშ.)
- 18 თებერვალი (სამშ.)
- 19 თებერვალი (ოთხშ.)
- 20 თებერვალი (ხუთშ.)
- 21 თებერვალი (პარ.)
- 22 თებერვალი, ხორციელის შაბათი (მაცვალეებულთა ხსენება)
- 23 თებერვალი, ხორციელის კვირა (საშინელი სამსჯავროს ხსენება) — ღირ. იოანე ჭიმჭიმელის, ფილოსოფოსის ხსენება (XIII ს.); (ხორცით დაურწყება)
- 24 თებერვალი, ყველიერის ორშაბათი (მსგეფსი ხსნილია) — მღვდელმონაზმე ვლასის, სებასტიელი ეპისკოპოსის ხსენება (316 წ.); — ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული; — წმ. პროხორე ქართველის ხსენება (XI ს.); — წმ. ლუკა იერუსალიმელის (მუხაიძე) ხსენება (1277 წ.); — მონ. ნიკოლოზ დვალის ხსენება (1314 წ.); — ღირ. მარტინიანეს ხსენება (V ს.); — ღირ. შიო მღვიმელის ხსენება (VII ს.), შიოობა; — ღირ. მღვდელმონაზონის ილარიონ ქართველის (ყანჩაველი 1864); — მოც. ონისიმეს (სამოცდაათთავანის) ხსენება (დაახ. 109 წ.).
- 25 თებერვალი (სამშ.)
- 26 თებერვალი (ოთხშ.) (წირვას არ უჩენს)
- 27 თებერვალი (ხუთშ.)
- 28 თებერვალი (პარ.) (წირვას არ უჩენს)

შეხვედრები ნაჭიკნაჭიერის გვ-2 სწავლათ სქოლარში



ფილის ჩვენება



სატიის მიგრძენება



ნიმობა



ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

ახალი ჟიურნალის მუვიძე

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი